ნელინაღი პირველი.

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

კვირა, 17 აპრილი, 1921 წ.

№ 38 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 38

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ლ. თაგუკაშვილის ხსოვნას

ძმათა სასაფლავო იბარებს დღეს თავის წიაღში კიდევ ერთ გმირს, ღამის წყვდიადში ქურდულათ ჯალათის ხელით მოკლულს.

ის, ვინც ბრძოლის ცეცხლით აღგზნებული გულით და მქუხარე ხმით ერთი ფრონტიდან მეორე ფრონტზე მტერს რისხვად ევლინებოდა, რომლის ნაცადი ხელმძღვანელობით რევოლიუციის ლაშქარს რეაქციის შავი ბანდები არა ერთხელ უკუ უგდია და გაუნადგურებია, რომლის სიმამაცე ზღაპარივით დარჩენილა წითელ არმიელების მასებში—ის იარაღ-აყრილი, ხელ-ცარიელი, მოტყუებით ციხიდან გამოწვეული, შეიქნა მსხვერპლი მტრის ჯალათობის.

თავის ურიცხვ დანაშაულს და ღალატს რევოლიუციის მიმართ მენშევიკურმა მთავრობამ კიდევ მიუმატა ერთი. მან კარგად იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე ამხ. თაბუკაშვილის სახით. მოსისხლე მტერი პროლეტარული რევოლიუციის, ის ვერ დაინდობდა მის თავგანწირულ მებრძოლს. მოლაპარაკეს მუდამ კანონიერებაზე და ლეგალობაზე, მას უნდა ჩაედინა მორიგი ვერაგობა ყოველივე ელემანტარული კანონიერების გვერდის ახვევით, მისი აშკარათ ფეხის გათელვით.

მშრომელმა ხალხმა შური იძია თავის თავგანწირული მებრძოლისთვის. ის შეეცდება დაღუპული ამხანაგის მაგალითზე აღზარდოს მსგავს გმირთა ახალ-ახალი ლეგიონები წარსული რეჟიმის და მის გასისხლიანებულ დამცველთა საბოლოოთ გასანადგურებლათ.

ამხ. ლუკიანე თაგუკაშვილის ხსოვნას

დღეს ძმურ სასაფლავოს ვაბარებთ 1921 წ. 3 მარტს ქ. ზესტაფონში მენშევიკების ჯალათების მიერ მხეცურათ მოკლულ ამხ. ლუკიანე თაბუკაშვილის ცხედარს.

ვინ იყო ამხანაგი ლუკიანე?

მოკლული ამხანაგი ერთი ღარიბი გლეხის შვილი იყო. იგი სოფელ ფარცხნალში (ხარაგოულის საზოგადოებაში) დაიბადა 1890 წელს. პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო დაბა ხარაგოულში. სასწავლებელში საუკეთესო მოწაფეთ ითვლებოდა და უხვათ იყო დაჯილდოვებული ბუნებრივი ნიჭით. ხარაგოულის 2 კლასიანი სასწავლებლის გათავების შემდეგ მასში იმდენათ დიდი შეიქმნა სწავლისადმი წყურვილი, რომ უმთავრეს ნაწილათ საკუთარ ნიჭზე და ძალ-ღონეზედ დაყრდნობილი ის სტოვებს სახლს და იწყებს ტელეგრაფის სამსახურისთვის მზადებას. მეორე მხრივ ასეთი ნაბიჯის გადადგმა აიხსნება მისი ოჯახის სიღატაკით,—არსებობისათვის ლუკმა-პურის ძიებით. პატარა მუშა იძულებული გახდა ლუკმა-პურის გულისთვის თავისი ძალა გაეყიდა. ამ მიზნით ის ცოტა ხნის მზადების შემდეგ მიემგზავრება ქალაქ ბაქოში და აბარებს ეგზამენს ტელეგრაფის მოხელისას. ამ ქალაქში, სადაც ამ დროს სწარმოებდა დიდი მუშაობა მუშათა წრეებში სოციალისტური წყობილებისათვის და იკვანძებოდა მუშების ბედ იღბალი. ამხანაგი ლუკიანე მუყაითად შეუდგა მუშაობას. ბაქოში ის იმთავითვე შეეზარდა მუშებს. მათ წრეებში აღიზარდა და გაიწრთვნა.

პროლეტარიატის ცხოვრების აუტანელმა პირობებმა და გაყვლეფილ კლასის დაუდეგარმა ღელვამ აღაჭურვა ის ძლიერი ნებისყოფით, რკინის დისციპლინით და გამოცდილებით, შეასწავლა მას პროლეტარიატის ბრძოლის მეთოდები, შეაყვარა მუშათა წრეები და ყოველ წამს მზათ იყო აეტანა ყოველგვარი გასაჭირი მათი კეთილდღეობისათვის. მალე სამხედრო ბეგრის მოხდის დრომ მოუწია და ის მიღებული იქმნა სამხედრო სამსახურში. სამხედრო ბეგარა ქალაქ კიევში შეასრულა. ჯარში გაწვევის დროს მოხვედა რკინის გზის ბატალიონში და იქ თავის ხელობას (ტელეგრაფისტი) ასრულებდა. მუყაითმა და მეტისმეტმა ენერგიულმა შრომამ ტყუილა არ ჩაუარა და ცოტა ხნის შემდეგ სადგურის თანაშემწის ადგილი მიიღო. რამოდენიმე წელი გავიდა და სად. კოროსტენის სადგურის უფროსობა მიიღო. როდესაც უკრაინაში პეტლიურას მეთაურობით ამბოხება მოხდა,—ამხანაგი ლუკიანე, როგორც კომუნისტობაში შეჩნეული, გადაყენებულ იქმნა თავის სამსახურიდან; მაგრამ ამას არ დააჯერეს. პეტლიურას ბრძანებით ის თავისი ამხანაგებით, როგორც „წესიერების და მშვიდობიანობის“ დამრღვეველნი გადაასახლეს გერმანიაში. გერმანიაში დაჰყო რამოდენიმე ხანი და შემდეგ მას საშუალება მიეცა თავის ძველ ადგილს დაბრუნებოდა სადგურ კოროსტენში. ვინაიდან ამ ხანებში პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგ გაიმართა მედგარი ბრძოლა, მან მიატოვა თავისი ძველი სამსახური და შეუდგა პარტიზანული რაზმის მოწყობას. ამ რაზმით ფიქრობდა ის რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის მტრების შემუსვრას უკრაინაში. მოკლე დროში შეადგინა ას ოცი კაცისაგან პარტიზანული რაზმი და დაიწყო სასტიკი ბრძოლა ბანდიტ პეტლიურას წინააღმდეგ, მაგრამ ამ მუშაობით არ განელდა მისი რევოლიუციონური ცეცხლით აღგზნებული გული.

ამხანაგი ლუკიანე, კომპარტიის დავალებით, შეუდგა ჯავშნოსან მატარებლის მოწყობას და მართლაც სულ ცოტა ხანში მოაწყო ჯავშნოსან—კოლონი პირველ უკრაინის არმიისა. ბედმა გაუღიმა და მცირე დროს გასვლის შემდეგ მთელი უკრაინის ჯავშნიან მატარებლების მეთაური—ხელმძღვანელი გახდა. აწარმოებდა ბრძოლას პეტლიურას ბანდების წინააღმდეგ, ნიკოლოზის შავ ღენერალ დენიკინის და უკანასკნელათ ანტანტის პატარა ფინიას, პოლონელების წინააღმდეგ. ყველგან ბრწყინვალე გამარჯვებები იგემა. დაჯილდოვებულ იქნა წარჩინების ყველა ნიშნებით. პირველათ დანიშნულ იქმნა მთელი უკრაინის ჯავშნოსან მატარებლების ხელმძღვანელათ.

უკანასკნელათ, გარდა ზემოთ დასახელებული მოვალეობისა, ითვლებოდა მეთორმეტე არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს წევრათ. მუდმივმა ბრძოლამ სხვა და სხვა ფრონტებზე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ, ცუდათ იმოქმედა ამხანაგ ლუკიანეს ჯანმრთელობაზე და გასული წლის 2 ენკენისთვეს შვებულებით, დროებით დაუბრუნდა თავის მშობელ ქვეყანას, ჯანმრთელობის გამოსაკეთებლათ. საქართველოში დაჰყო რამოდენიმე თვე და როდესაც საბჭოთა რუსეთის წითელი არმია ბორჩალოს მაზრაში ჯანყებულებს დაეხმარა, საქართველოს მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეში, ამხანაგი ლუკიანე დაპატიმრებულ იქმნა თავის სოფელში და გადაგზავნილ ზესტაფონის სამაზრო ციხეში. რამოდენიმე ხნის გასვლის შემდეგ, 3 მარტს 1921 წ. საღამოს, 8 ს. მენშევიკების ჯალათებმა მოტყუებით ციხიდან გამოიყვანეს და მხეცურათ დაპირიტეს.

დაუვიწყარ ამხ. ლუკიანე თაგუკაშვილის ხსოვნას

იმ დროს, როდესაც რუსეთის სახეპროლეტარიატ ის მოწინავე რაზმს გალოვანი წითელი არმია საქართველოში ამბოხებულ გლეხკაცობას შეუერთდა მენშევიკების თვითმპყრობელობის დასანგრევად და მასზე სასტიკი იერიშები მიიტანა, იმ დროს მენშევიკების მეყასპეებმა-ჯალათებმა მხეცურად და ამასიდეიურად არას დროს არ კვდება. ლუკიანე იყო ღარიბი გლეხის შვილი დ როგორც ასეთი მიემხრო იმ კლასს, რომელსაც ისტორიამ დაავალა ძველი წყობილების დანგრევა და მის ნანგრევებზე ახალი, ჯერ კიდევ ისტორიის მიერ უნახავი საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრება შრომის ბატონობაზე აღმოცენებული. ამხ. ლუკიანეს პიროვნება მით არის შესანიშნავი, რომ მან ერთხელ არჩეულ გზას არ ულალატა; დაბეჩავებული კლასის იდეები შეისისხლხორცა და ურყევათ დაეყრდნო პროლეტარიატს. ის მტერი იყო მუშათა კლასში არსებული არისტოკრატიის, რომელიც ოპორტუნისტულ გზას ადგა და რომელსაც პროლეტარული იდეების სავსებით გამარჯვება აშინებდა. როდესაც სოციალისტური რევოლიუცია მთელი თავისი სიძლიერით მოასკდა იმ საზღვარს, სადაც ამხ. ლუკიანეს იდეების მტრები აღმოჩნდენ, ე. ი. ცრუ და ფარისეველი სოციალისტები, მათ მორთეს საქვეყნოთ ყვირილი: არიქა ვეშველეთ, მუშათა კლასი გადაყლაპვას გვიპირებსო; თუმც რევოლიუციის მტრებს გულში იხუტებდენ...

ამხანაგი ლუკიანე „საშვალო გზის“ თანამგზავრებს სასტიკათ ებრძოდა. ის გზა-ხაზი, რომელიც არც აქეთ, არც იქით გადასვლას ქადაგებდა; არც დამარცხებას და არც გამარჯვებას. განსვენებულ ამხანაგს პროლეტარიატის ინტერესებისათვის დამღუპველათ მიაჩნდა ასეთი ხაზი. ეს გზა მისი ფიქრით არ-მიანიჭებს გაყვლეფილ კლასს არას დროს გამარჯვებას.

საღი პოლიტიკური რადიკალიზმი—აი რა ახასიათებდა ამხანაგ ლუკიანეს, ის მუდამ პირველ რიგში იბრძოდა და არავითარი შიში არ იცოდა.

ბრძოლაში კვდება ის, ვინც წინა რიგებში იბრძვის და წინ ის მიდის, ვინც მამაცი და საუკეთესოა.

მხოლოთ ერთი რამ მეტათ სამწუხაროა: ასეთი როლი იმ ამხანაგის, რომელიც ბრძოლის ცეცხლით იყო ანთებული და რომელსაც პროლეტარიატის მტრები დაუმარცხებია სამოქალაქო ომის ასპარეზზე, მისი ცხოვრების ასეთი ბოლო მეტათ დამაღონებელია. ღამე... ირგვლივ მოსყიდული ჯალათები... ხელში უიარაღოთ... ასეთი ადამიანის წინააღმდეგ „ბრძოლის გამართვა“ არ ნიშნავს რაინდობას. მოკლეს იგი, მაგრამ ნამეტან ეხეცურათ და ბარბაროსულათ... ამით ფიქრობდენ ესეოდ-სოციალისტები თავიანთი ადგილების შენარჩუნებას. მაგრამ ამაოთ...

პროლეტარული რევოლიუციის ტალღებში საქართველოს ყველა კიდეებს მისწვდა. კომუნიზმმა თავისი ცეცხლიანი სხივებით გასჭრა წყვდიადით მოცული საქართველოს ღრუბლები...

საქართველო განთავისუფლდა მენშევიკ-სპეკულიანტებისაგან. ეს იცოდა ამხანაგმა ლუკიანემ, ამ იმედით ვცხოვრობდით ჩვენ ციხეში...

ის ვერ მოესწრო თავისი თვალით ენახა განთავისუფლებული წითელი საქართველო. მისი აზრი და მისი ფიქრი მთლიანათ რევოლიუციაზედ იყო მიპყრობილი.

სულით ძლიერი, შეურყეველი ოპტიმისტი, ის არაფრის წინაშე არ შედრკებოდა.

უკანასკნელ გამოთხოვების წუთებში ის შეუშფოთებლათ ეუბნება ამხანაგმეგობრებს, რომ მიყვეზა ჯალათებს და შესაძლოა კიდევაც დამხვრიტონო, მართლაც მოკლეს არამზადულათ რეაქციის ძალებმა, მენშევიკების მეთაურობით, რომლებიც მათ მეტათ სძულდა.

ის გაქრა, როგორც ელვა. უმტკივნეულოთ, უეცრათ... დაუძახა რა უკანასკნელათ თავის ჯალათებს: „**გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მართვა-ვამგეობას**“. ოშორს სენტიმენტალობა და ცრემლები...ჩვენ, ბრძოლაში მყოფნი არ დავიტირებთ დაღუპულ მეგობრების ცხედარს. ჩვენ ვიტირებთ ... ...

დღეს ნოემერში:

მუშათა გრანდიოზული გაფიცვა ინგლისში.

რუსეთის წითელი ჯვრის პროტესტი საერთაშორისო წითელ ჯვრის მიმართ, რომელმაც დახმარება აღმოუჩინა კრონშტადტის აჯანყებულებს და ამით ჩაერია რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში (კონტრ-რევოლიუციის სასარგებლოდ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

წოდება თავდება შემდეგი ლოზუნგებით:

კარებების გაღება აღმოსავლეთისაკენ!

სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა რუსეთთან!

სამკვდრო-სახიცოცხლო კავშირი საბჭოთა რუსეთთან!

ამავე გაზეთის მე-116-ე ნომერში მოთავსებულია მოწოდება მუშებთან შემდეგი სათაურით: **„მთლიანი პროლეტარული ფრონტი კაპიტალისტურ ქაოსის წინააღმდეგ და საბჭოთა რუსეთთან კავშირისათვის.**

ამ მოწოდებაში წამოყენებულია მოთხოვნილებანი, რომელნიც მიმართულია ლოკაუტების, შუბლგარეცხილ „დემოკრატიულ" რეაქციის, ბურჟუაზიის შეიარაღების წინააღმდეგ პროლეტარიატის შეიარაღებისა და საბჭოთა რუსეთთან კავშირის დაჭერისაკენ.

ამავე გაზეთის მე-117 ნომერში მოთავსებულია ანგარიში იმ დემონსტრაციისა, რომელიც რუსეთთან კავშირის დაჭერის შესახებ მომხდარა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიუღია 80,000-ზე მეტ ბერლინელ მუშას. ამის შესახებ „კრასნოე ზნამია" სწერს: **„კომუნისტურ პარტიისათვის საჭიროა მომავალ კვირაში გააღრმაოს და გააფართოოს მედგარი დაკვრით ეს პირველი გამარჯვება".**

ამ ამონაწერებიდან ცხადათა სჩანს, როგორ მზადდებოდა პროლეტარიატის დღევანდელი გამოსვლა და რა ლოზუნგებ ქვეშ აწარმოებენ ბრძოლას გერმანელი მუშები. იბრძვიან რა გმირულად, ღვრიან რა სისხლს რუსეთთან კავშირისთვის, მათ მშვენივრად ესმით აგრეთვე ფასი კრონშტანდტის ამბოხებისა. ამ უკანასკნელმა კი უკვე მიიღო საღამი კოცნით არამც თუ ბურჟუაზიისაგან, არამედ შეიდევნელებსა და რენოდელებისაგანაც. პირიქით რევოლიუციონური მუშები, რომელნიც ბურჟუაზიას **ებრძვიან** კრონშტადტელებს **წყევლა-კრულვით** იხსენიებენ.

მათ კარგად იციან, როგორ მძიმე მდგომარეობაშიც ვართ და ამას არც მალავენ. მაგრამ ერთად-ერთ ხსნას გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატი ხედავს საბჭოთა რუსეთისათვის ხელის შეწყობაში და საბჭოთა რეჟიმის შემოღებაში.

ნ. ბ.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

მოხსენება პოლიტიკურ განათლების შესახებ.

ამხ. პრეობრაჟენსკი. (დასასრული) ორიოდე სიტყვას ვიტყვი ამხანაგებო პროპაგანდის ორგანიზაციულ, მხარის, შესახებ. ჩვენ ამ ჟამად განსაზღვრულ გეგმით უნდა დავაარსოთ სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებანი. ინსტრუქციები უკვე გამოქვეყნებული და დაგზავნილი იყო. საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ყველა საგუბერნიო კომიტეტებთან, დაარსებულ იქნას შესაფერისი განყოფილებანი და საჭირო რიცხვი ძალებისა მოიძებნებოდეს. დასასრულ მე ვიტყვი, რომ ამ ყრილობაზე უნდა დამუშავებულ იქნას მთელი რიგი კონკრეტულ წინადადებებისა, რომლის შეტანაც შეიძლებოდეს რეზოლიუციაში. ცენტრალური კომიტეტი განზრახ არ იმუშავებდა რეზოლიუციას ამ საკითხის შესახებ და წინადადება მისცა ამხანაგებს, როგორც ეს უკვე დაბეჭდილი იყო, ადგილობრივ გამოცდილების თანახმად აქ გაეკეთებიათ კონკრეტული პრაქტიკული წინადადებანი, რომლითაც შესძლებოდათ წარედგინათ ყრილობისათვის მასალა და უფრო სისწორით გამოერკვიათ ურთიერთი დამოკიდებულება მთავარ საპოლიტიკო სახალხო განათლების კომიტეტსა და სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ორგანოთა შორის—ეს ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ—ამა თუ იმ ორგანოთა წინაშე დაისვა მთელი რიგი პრაქტიკულ საკითხებისა. შემდეგ მე ორიოდ სიტყვით შევეხები იმ საკვედურს, რომლითაც მიმართა ამხ. იაროსლავსკიმ ცენტრალურ კომიტეტს იმის შესახებ, რომ არ იყო მიცემული თუ როგორი წესი უნდა დაარსებულიყო პოლიტიკურ განათლების საბჭოს ეს ორგანოები ადგილებზე და რანაირი სახისა უნდა იყოს მათი ურთიერთშორის დამოკიდებულებანი. ჩვენ გვსურდა პარტიული ყრილობა მოგვეწვია ერთი თვით ადრე, და გადავწყვიტეთ ეს საკითხი დაგვესვა ყრილობაზე, რის გამო განზრახ მოვხსენით ცენტრალურ კომიტეტის განხილვისაგან, რადგანაც არ გვინდოდა გამოგვეტანა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლოა სრულიად ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივ გამოცდილებას. ჩვენ გადავწყვიტეთ, ამ პარტიულ ყრილობაზე გამოგვერკვია, თუ რა გამოცდილება გვაქვს ჩვენ ამ მხრივ და ამაში დამნაშავეთ არ ვთვლი ჩვენს თავს. ხოლო რამდენადაც ანგარიშს გაუწევთ ჩვენს გამოცდილებას, იმდენად ნაკლებად გვექნება ინსტრუქციები, რომლის გაუქმება შემდეგში აუცილებელ იქნება.

ლუნაჩარსკი. ვსარგებლობ იმ მოკლე ვადით, რომელიც ჩემს განკარგულებაშია და ერთის თვალის გადაყლებით მოვიხსენიებ სახალხო განათლების კომისარიატის ძირითად საკითხებს, რომელთაც სულ მუდამ უშვებენ მხედველობიდან.

ჩვენ ვალად გვაწევს არამც თუ მხოლოდ აღმზრდელობითი საკითხები, ჩვენ უნდა პირიქით დავიცვათ ბავშვთა არსებობაც; ამიტომ გასაგებია, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა შეჰქმნა საგანგებო კომისია, რომელიც დაგვეხმარება ამ საქმეში. ეკონომიური კომისარიატები პირველ რიგში სდგანან. განათლების კომისარიატი ითვლება არა მნიშვნელოვნად. ეს ხომ სასაცილოა, ამხანაგებო, როდესაც თქვენ შედიხართ ქარხანაში ან ფაბრიკაში, თქვენ გესმით, რომ გარდა ნედლი მასალისა, სათბობ მასალისა და სხ. იქ კიდევ იმყოფება ადამიანი, და ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს ადამიანი უნდა წარმოშობოს სახალხო განათლების კომისარიატმა. ამიტომ, ამ თვალსაზრისით სახალხო განათლების კომისარიატი—ეს ძირითადი, ინსპექცია. ეს უნდა სწარმოებდეს იმ ამხანაგთა მიერ, რომელნიც სხედან საგუბერნიო კომიტეტში და რომელთაც საპოლიტიკო-საგანმანათლებლო განყოფილებამ უნდა უშუალოდ გაუკონოს. საჭიროა, რომ პარტიის საგუბერნიო კომიტეტებმა განსაზღვრულ ვადაზე მოისმინონ საგუბერნიო საპოლიტიკო-საგანმანათლებლო განყოფილებათა ანგარიშები და რომ ყველა საგუბერნიო საპოლიტიკო-საგანმანათლებლო კომიტეტებს, როგორც ამნაირებს, კონტროლი გაუკეთონ ხოლმე საგუბერნიო კომიტეტებმა. ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ მთავარ საპოლ. სახ. განმ. კომიტეტშიც ამნაირივე მეთოდი უნდა სწარმოებდეს. საჭიროა, რომ მთავარ საპ. სახ. განმ. კომიტეტის სათავეში იდგეს ამხანაგი ცენტრალური კომიტეტიდან, ან რომ ცენტრალურ კომიტეტის წევრი იდგეს სახალხო განათლების კომისარიატის სათავეში, რომ აწარმოოს ეს ნამდვილი პარტიული მუშაობა კომუნისტურ განათლების საქმეში ჩვენს ქვეყანაში.

ამის და მიხედვით მე ცოტა ცნობები შევკრიბე იმაზე, თუ როგორაა ეს საქმე წარმოდგენილი ადგილებზე.

მე მომიხდა ყოფნა სულ უკანასკნელ ხანს ორ ქალაქში დხ აქ გავეცანი ამ საქმეს. ტამბოვში მე ვანვითარებდი აღნიშნულ აზრს. გარდა რამდენიმე, მართლადაც და გავლენიან ამხანაგებისა, ფრაქციის ყველა დანარჩენ მასსამ ხმა მისცა ნამდვილად ამნაირ სრულ გადაცემას საბჭოთა აპარატის ხელში, რომ იგი გარდაქცეს ღრმა პარტიულად. როგორ მე ჩაველ სარატოვში, აღმოჩნდა, რომ სარატოვში ეს საქმე უკვე განხორციელებულა. ეს ერთად ერთი ნამდვილი თვალსაზრისია, ამ საკითხის შესახებ. მაგრამ მე ამ ჟამად არ ვიცი, ღირს თუ არა შემოვიტანო რაიმე რეზოლიუცია, როდესაც ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ სთვლის რომ რეზოლიუცია დამუშავებულ უნდა იქმნას მასალებიდან.

ჩემის მხრით მე ვარდგენ ასეთ დებულებებს:

1) მთელი სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა მოზრდილ მცხოვრებთა შორის გადაეცემა მთავარ საპოლიტიკო სახალხო განათლების კომიტეტს და სახალხო განათლების კომისარიატს, ადგილებზე კი საგუბერნიო საპოლიტიკო-საგანმანათლებლო განყოფილებათ.

2) შინაგან პარტიულ საგანმანათლებლო მუშაობას აწარმოებს წინანდებურად პარტიული ორგანიზაციები, საპოლიტიკო განათლების განყოფილებათა რესსურსების მაქსიმალური გამოყენებით.

3) საპოლიტიკო განათლების განყოფილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოიყოს პარტიისაგან არც ცენტრში და არც ადგილობრივ; იგი უნდა უმჭიდროესად შეკავშირებულ იყოს პარტიულ ორგანიზაციებთან და იმუშაოს მათ უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. საპოლიტიკო განათლების განყოფილებანი გაძლიერებულ უნდა იქმნენ ყოველ მხრივ, კომუნისტურ ძალთა შეყვანით. მთავარ საპ. სახ. განმ. კომიტეტს სათავეში უნდა ედგას საგუბერნიო კომიტეტის წევრი.

საბჭოთა საქართველოში.

ამხ. მახარაძის მოგზაურობის გამო.

საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე ბათომში მოგზაურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნათ სთვლის აჭარისა და აფხაზეთის საკითხის საბოლოოთ მოწესრიგებას და აგრეთვე საგარეო ვაჭრობის განყოფილების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას დაკავშირებით საქონლის გაცვლა გამოცვლის მოწყობასთან საქართველოს საჭირო სურსათით მოსამარაგებლათ. სხვათა შორის განზრახვა აქვთ შეამოწმონ ბათომის ადმინისტრაციის მოქმედება და ააცილოს არსებითი ნაკლები ამ მხრივ. აღძრულ იქნება აგრეთვე სავალიუტო საკითხი, რომელსაც მოწესრიგება ესაჭიროება.

სიტყვიერი სასამართლოები.

იუსტიციის განყოფილების მიერ გახსნილ იქნება აჭარაში 5 სახალხო სიტყვიერი სასამართლო ოლქის სხვა და სხვა პუნქტებში. კინტრიშის სახალხო სასამართლო უკვე მოქმედობს. სახალხო სასამართლო შესდგება ყადისა და ორი არჩეული წევრისაგან. უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს—ოლქის სახალხო სასამართლო, შედგენილი მუფთისა და ყოველ სარაიონო სასამართლოს წარმომადგენელთაგან.

სისუფთავის კვირა.

დღეს დაიწყო სისუფთავის კვირა. ქუჩებში დაჰკიდეს პლაკატები, თეატრებში გაიმართება კონცერტები და ლექციები. 17 და 18 აპრილს ყველა აბანოები და საპარიკმახეროები უფასოთ დაეთმობათ მოქალაქეთ.

ყუბანის ფქვილი ბათომის ნათსადგურისთვის.

ბათუმი. 13 აპრ. (ტელეგრაფით). მოვიდნენ გემები საბჭოთა დროშით, რომლებმაც ბათომის ნავთსადგურისთვის ჩამოიტანეს ყუბანის ფქვილის ერთი პარტია.

თეთრი ფქვილი.

ბათომის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი შეუთანხმდა ოსმალელ ვაჭრებს თეთრი ფქვილის მოტანის შესახებ.

ქალების მიტინგი.

ქალების მიტინგმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა თბილისის კომუნისტურ პარტიის ქალების განყოფილებას, ლენინს, ტროცკის და კოლონტაის.

იტალია-საქართველოს სავაჭრო კავშირი.

ბათუმი. 13 აპრილი. (ტელეგრაფით). გუშინ სტამბოლიდან გამოვიდა ბათომისკენ იტალიის გემი „ვენეციარ" საქონლით საქართველოსთვის.

შაბათობა შულავერში.

შულავრის შაბათობაში მონაწილეობა მიიღეს 550 სულმა, მათ შორის 65 ქალმა, ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის 50 წევრმა და 18 მოზარდმა ყმაწვილმა. დაბარეს 2 დესეტინაზე მეტი მიწა საზოგადო ბოსტნისთვის, გასხლეს ვენახები და დაასრულეს სარწყავ არხების გაწმენდა.

თიანეთი. 2 აპრილი. თიანეთში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია მისალმებისა საქართველოს რევკომისადმი და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მოწონება. რევკომი მარტის 30 დან ორგანიზაციულ მუშაობას შეუდგა. რევკომის თავმჯდომარეთ აჰხ. პრაზული აირჩიეს.

საბჭოთა რუსეთში.

რკინის გამოხარშვა ნავთის საშუალებით

მოსკოვი. 14 აპრილი. (რადიო). დონის ოლქში მოროზოვსკში არსებულ საოსოფლო სამეურნეო მექანიკურ ქარხნის მუშამ გამოიგონა ახალი საშუალება რკინის გამოხარშვისა ნავთის საშუალებით, რომლის წყალობით იქნება დიდი ეკონომია სათბობისა და დროსი. თუ ამ ახალი საშუალებით აწარმოებენ ცდას უფრო ფართე მასშტაბით, შესაძლებელია ამ გამოგონებამ დიდი გავლენა მოახდინოს მანქანების შენება გაკეთების საქმეში.

მუშათა სწავლა-განათლება

მოსკოვი. 14 აპრილი. (რადიო). პეტროგრადში საგუბერნიო პროფესიონალურ საბჭოს კულტურულ განყოფილებასთან დაარსებულია ცენტრალური სამანდატო კომისია ტეხნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში და მუშურ ფაკულტეტებზედ მუშების მისაღებათ. კომისია გაანაწილებს სასწავლებლებში არსებულ თავისუფალ ადგილებს კავშირთა შორის.

წითელი ბუქარესტის ძმური დახმარება.

მოსკოვი. 14 აპრილი. (რადიო). თუმცა სურსათის მხრივ ბუხარა გაჭირვებულ მდგომარეობას განიცდის, მაგრამ ბუხარის ეკონომიურმა კომისარიატმა მხედველობაში მიიღო საბჭოთა რუსეთის ეხლანდელი სასურსათო გაჭირვება და ისურვა რა მისთვის ძმური დახმარების გაწევა, თავის სასწრაფო სხდომაზედ გადასწყვიტა, საჩქაროთ გაიგზავნოს აღმოსავლეთ ბუხარაში შერეული კომისია ბუხარისა და რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლობისაგან შემდგარი, 100 ათასი ფუთი პურის, 10 ათასი ფუთი ქერის და 20 ათასი ფუთი იონჯის შესასყიდათ და

მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება.

პეტროგრადი. 12 აპრილი. (რადიო). ქალაქის საერთო თათბირის დილის სხდომამ მოისმინა მოხსენება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ: „სამი წლის ომის შემდეგ,—სთქვა მომხსენებელმა,—კავშირების საბჭოთა თავმჯდომარემ ანცელოვიჩმა,—მხოლოდ ეხლა გვინდა შეუდგეთ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას... (გამოტოვებულია)... ომების დროს მუშაობისთვის ვინ მოგვაცლიდა, სასტიკი ბრძოლა უნდა გვეწარმოებინა ძლიერ მოწინააღმდეგეებთან. ჩვენი უბრალო ცულის იარაღის ქარხანა ებრძოდა გრუპის, შნეიდერისა და კრუბოს საუცხოოდ მოწყობილ ქარხნებს. ჩვენ იძულებულნი ვიყავით გამოგვეკვება და შეგვემოსა მუშების ხარჯზე უზარმაზარი ლაშქარი. ტანისამოსის და საცვლების მეტი წილი ფრონტს უნდებოდა. ეხლა შესაძლებელი ხდება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას მოვკიდოთ ხელი და შევებრძოლოთ ბიუროკრატიზმს და სხვა იარაღებს, რომელნიც ხრავენ საბჭოთა დაწესებულებებს". მომხსენებელი აღნიშნავს... (გამოტოვებულია)... საქარხნო ბოსტნების მოწყობა, მათი საჭირო იარაღებით უზრუნველყოფა. მუშებისთვის კარგად მოწყობილ ბინების მიჩენა, პეტროგრადში სახლების ნანგრევის მოსპობა, პირველ საჭიროების საგნების განაწილება მუშათა შორის, სხვადასხვა საწყობებში, რომ იმყოფება... (დასასრული არ მიგვიღია).

საღამოს სამუშაო დრო ზოგიერთ დაწესებულებებში.

მოსკოვი. 14 აპრ. (რადიო). ძალიან ხშირად მუშები უჩივიან იმ გარემოებას, რომ სხვა და სხვა დაწესებულებებში მუშებს არა სცალიანთ, რის გამოც მათ უხდებათ სამუშაო დროის დაკარგვა. ამისთანა დაწესებულებებისთვის, როგორც მაგ. აბანო, სადალაქო, სამრეცხველო, აფთიაქი, სასურსათო ადგილები, საჩაიები, ამბულატორიები, კბილის სამკურნალო საავადმყოფოები, მილიცია, საბინაო განყოფილებანი და სხვ. მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებელი მოსკოვის კომიტეტი შეუდგა აღნიშნულ დაწესებულებების სამუშაო დროს საკითხის გადასინჯვას და წინადადება მისცა მუშების ორგანიზაციებს შეიტანონ ამ გადასინჯვაში თავისი პრაქტიკული მოსაზრებანი და წინადადებანი.

საბჭოთა რუსეთის ეშინიათ.

მოსკოვი. 14 აპრილი. (რადიო). 12 აპრილის რადიო ლიონიდან იუწყება, რომ ოსმალები ემზადებიან ანტანტის ჯარების წინააღმდეგ შესატევად, ალბად, მიიღეს ძლიერი დახმარება იმ ძველ დივიზიების სახით, რომელნიც კავკასიაში იმყოფებოდნენ... (გამოტოვებულია) სიტყვით... იმ შეთანხმებისა გამო, რომელიც ეხლახან მოხდა ანგორასა და მოსკოვს შორის. ეს დივიზიები კავკასიაში საჭირონი აღარ დარჩნენ და მათი ნაწილები ზღვით ბათომიდან მცირე აზიაში გადაგზავნეს.

რუსეთის წითელი ჯვრის პროტესტი.

მოსკოვი. 6 აპრილი. რუსეთის წითელ ჯვრის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარემ სოლოვიევმა შემდეგი პროტესტით მიმართა წითელ ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ჟენევაში და ვაშინგტონში: რუსეთის წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტის მიერ მიღებულ ცნობებით, საერთაშორისო კომიტეტის მიერ განხილული ყოფილა კითხვა კრონშტადტისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ სურსათით და ტანსამოსით. რუსეთის წითელ ჯვარს არ შეუძლიან ისე არ გაიგოს ეს დახმარება აჯანყებულ ბანდებისა, ავანტიურისტების, ოფიცრების დამორჩილებიდან გამოსულ მატროსებისადმი, როგორც აშკარა ჩარევა წითელი ჯვრისა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისიც ცნობილ მტრების სასარგებლოდ მშრომელ ხალხის და მის სათავეში მდგომ მთავრობის წინააღმდეგ. სრულ პოლიტიკურ ნეიტრალობის პრინციპის სახელით რუსეთის წითელი ჯვარი არა სასურველად სთვლის წითელ ჯვრის იმ წარმომადგენლების საქციელს, რომლებიც სცდილობდნენ დახმარება გაეწიათ კრონშტადელ მეამბოხეთათვის. რუსეთის წითელ ჯვარს არ სურს დაიჯეროს, რომ ასეთი სამარცხვინო მოქმედებანი იცოდნენ და დასტურს აძლევდნენ ხელმძღვანელები. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის წითელი ჯვარი იძულებული იქნება საჯაროდ აღიაროს, რომ დაიწყებულია წითელ ჯვრის ელემენტარული მოვალეობის ცნებანი და ფეხქვეშ გათელილია პოლიტიკური ინტერესის სარგებლიანობის გამო და დაუფარველ კლასიურ ეგოიზმისთვის მაშინ, როდესაც კაცობრიობა იკურნება იმპერიალისტურ ომისა და მის მიერ მიყენებულ ჭრილობისგან; ამ დროს აღმოჩნდნენ ორგანიზაციები, რომლებიც წითელ ჯვრის ნიღაბ ქვეშ ჩადგნენ პირდაპირ მოწინააღმდეგე ბანაკში, მაშინ როდესაც შეეძლოთ ჩამდგარიყვნენ რუსეთის მუშათა და გლეხთა ბრწყინვალე მომავლისთვის მებრძოლთა რაზმებში.

საზღვარ-გარეთ

ინგლისის მუშათა გაფიცვა.

რიგა. 12 აპრილი. (რადიო). როგორც ვიცით ლოიდ-ჯორჯმა მოლაპარაკების დაწყების ერთ-ერთ წინასწარ პირობათ წამოაყენა მუშაობის განახლება, რაც მემაღაროებმა უარყვეს. ეს უარყოფა გახდა საგნად პარლამენტის მსჯელობისა. ბურჟუაზიულ ბანაკის ორატორები მოუწოდებდნენ მემაღაროებს მუშაობისაკენ და ააზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ფედერაცია არა ერთ კონფლიქტში... (დამახინჯებულია)... ამ საყვედურებზე რკინის გზელთა ლიდერმა ტომასმა აღნიშნა, რომ არასოდეს მრეწველობის ისტორიაში მაღაროს პატრონები არ ემუქრებოდენ მუშებს ლოკაუტით იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი მაღაროს მეპატრონეთა პირობას არ მიიღებდენ, რომელიც ნიშნავდა ხელფასის 50 პროცენტით შემცირებას.

ინგლისის მუშათა ულტიმატუმი მთავრობაში.

ნაუენი. 13 აპრილი. ინგლისის სამთომადნო მუშებმა და მაღაროს პატრონებმა შეთახმების პროექტის შესამუშავებლათ აირჩიეს კომისია შემდგარი 6 მუშისაგან და 6 მეპატრონეთაგან ამავე დროს ტრანსპორტის მუშებისა და რკინისგზელთა სულიერი განწყობილება უარესდება. მათ მეორე ულტიმატუმი წარუდგინეს მთავრობას და ემუქრებოდენ გაფიცვით, თუ შუაღამემდე მთავრობა არ მისცემს მემეღაროებისთვის მისაღებ წინადადებას.

ინგლისში გაფიცვა იზრდება

მოსკოვი. 15 აპრილი. (რადიო). აპრილის 13 შუადღისას, ვინაიდან მაღაროების პატრონებსა და მუშებს შორის შეთანხმება არ მოხდა, სამთა კავშირმა რკინის გზელების და ტრანსპორტის მუშებისამ დაადგინა: შეუერთდნენ გაფიცვას პარაპკევს საღამოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქტრო-ტეხნიკის მუშებიც შეუდგებიან გაფიცულთა.

ბურჟუების წინაშე იჩოქებენ.

პარიზი. 12 აპრ. (რადიო). ამერიკის განთქმული სოციალ-პატრიოტი და მუშათა კლასის გამყიდველი გემპერი, თავის წერილში ამერიკის პროფკავშირების ყვითელ ინტერნაციონალის სახელზე, აცხადებს, რომ ამერიკის მუშათა ფედერაცია ვერ დარჩება ამსტერდამის ინტერნაციონალის შემადგენლობაში. ამერიკის შრომის ფედერაციას ყოველთვის ერთი მიზანი ჰქონდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება; ამისთვის პოლიტიკა ამსტერდამის ინტერნაციონალისა, სადაც შედიან ორგანიზაციები და კავშირები, რომელიც ცდილობენ შეერთებულ შტატების მთავრობის დამხობას, ეწინააღმდეგება გონიერებას და საღ-აზროვნებას და ვნებას მიაყენებს ამერიკის ფედერაციის ინტერესებს.

სავაჭრო დამოკიდებულება ინგლისთან

ლონდონი. 11 აპრ. (რადიო). დღეს „ტაიმსი“ ბეჭდავს რუსეთ. სავაჭ. დელეგ. პასუხს, რომელიც გადაჭრით უარყოფს ცნობას ინსტრუქციების შესახებ, რომლებიც მას ვითომდა მესამე ინტერნაციონალისთვის გაუგზავნია სტამბოლში და სხვაგან. ლოიდ ჯორჯს შეეკითხებიან, ფიქრობს თუ არა მთავრობა ზომები მიიღოს ინსტრუქციაში აღნიშნულ პროპაგანდის შესაწყვეტად. „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი აღნიშნავს: ინგლისის საქმიანი კლასი დიდათ დაინტერესებულია რუსეთთან აღებ მიცემობის აღდგენაში, რადგანაც ბევრი ფინანსთა ჯგუფი ფიქრობს, რომ ნავთისა და ტყის კონცესიის, (გამოტოვებულია). ფინანსისტები ეხლა დაინტერესებული არიან იმითაც, რომ ბოლშევიკურ დეკრეტით ყველა რუსული ბანკები გაერთიანებულია ერთ ბანკათ, და ამნაირათ, ალბათ, წინანდელ რუსულ ბანკების ანგარიშებიც ლონდონში შეერთებული იქმნება; ზოგი მათგანის აქტივის თანხა დანარჩენთან პასივს დაჰფარავს.

საფრანგეთში.

მოსკოვი. 5 აპრილს. დამსწრეთა სიტყვით, საფრანგეთის პროლეტარიატის ავანგარდის სულიერი განწყობილება საერთოდ საუკეთესოა, რევოლიუციონური. უკანასკნელმა არჩევნებმა ქალაქსა და პროვინციაში დაგვანახეს, რომ წვრილ ბურჟუაზიას გული უტყდება გამეფებულ სისტემაზე. გამწვავებულმა ეკონომიურმა კრიზისმა, საფრანგეთის იმპერიალისტების ახალმა ავანტიურამ, გერმანიისაგან საფრანგეთის აღდგენისთვის საჭირო სახსართა მიუღებლობამ, პარიზის მთავრობის სრულმა დამარცხებამ რუსეთის პოლიტიკის საკითხში უნდა აამოძრაოს მცხოვრებთა ჩამორჩენილი ნაწილიც კი. ასეთ პირობებში პროლეტართა ავანგარდის წინაშე, რომელსაც საქმის ვითარება უმზადებს თანამგრძნობელთა ზურგს, იშლება ფართო რევოლიუციონური პერსპექტივები, და რაც ყოველთვის გადამწყვეტ მომენტში მომაკვდავ რეჟიმს ემართება პროლეტარული ძალდატანებისაგან, ემართება საფრანგეთის იმპერიალიზმის, ერთის შეხედვით, გოროზ შენობას, რომლის საძირკველიც აღმოჩნდება ძირ-გამომპალი.

გერმანია და ამერიკა.

რომი. 14 აპრ. (რადიო) ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ პრეზიდენტმა გარდინგმა მიმართა კონგრესს ოფიციალურ განცხადებით, რომელშიაც გამოთქმულია აზრი მტკიცე ზავის ჩამოგდების საჭიროებისა გერმანიას და შეერთებულ შტატების შორის. ამასთან გარდინგი ერთა ლიგის წინააღმდეგ გამოსთქვამს აზრს.

საბერძნეთ-ოსმალეთის ომი

ბერძნების ლტოლვა.

კონსტანტინეპოლი. 14 აპრილი. (რადიო). ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ბერძნების ჯარი ყოველ გზით გარბის და სტოვებს ტყვეებს და სამხედრო მასალას.

იტალიას იბრიყვებენ.

ნაუენი. 14. აპრილი (რადიო). იტალიის საზოგადოებრივი აზრი პროტესტს აცხადებს საფრანგეთის სამეურნეო პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელნიც სცდილობენ იტალია მორჩილ მსახურათ გადააქციონ.

შეიდემანი მიმდინარე მომენტის შესახებ.

ნაუენი 13 აპრილი. (რადიო) მიმდინარე მომენტის შესახებ შეკითხვაზე შეიდემანმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა სახალხო პარტიის კოალიციაში არ არის სასურველი.

გერმანელი მუშები აოხრებულ პროვინციებში.

ნაუენი. 13 აპრილი (რადიო). პარიზის გაზეთი „ევრ-“ი იტყობინება, რომ აღდგენის საქმეთა მინისტრი ლუშენი ხელს უწყობს გერმანელ მუშების გამგზავრებას აოხრებულ პროვინციებში იმ იმედით, რომ საფრანგეთის მრეწველობა მთელს თავის ძალას საფრანგეთის ექსპორტის აღდგენას მოახმარს.

ახალი ნავთიანი ადგილები.

ლიონი. 12 აპრილი. (რადიო). საფრანგეთში მედვილლიის ოლქში (ორანის დეპარტამენტი) 53 მეტრის სიღრმეზე ახალი ნავთიანი ადგილი აღმოჩნდა. როგორც ფიქრობენ ნავთის წყარო იმდენად ძლიერ მჩქეფავია, რომ ყოველდღიურად ორ ტონამდე ამოვა.

ოსმალების ახალი შეტევა.

ლიონი. 12 აპრილი. (რადიო). „ტან“-ი იუწყება, რომ ოსმალებმა დაიწყეს ახალი შეტევა ბერძნების წინააღმდეგ მეანდრას ველში.

რომი. 12 აპრილი. (რადიო). კონსტანტინეპოლიდან მიღებული ცნობით, ოფიციალურათ იუწყებიან, რომ ბერძნები ცდილობდნენ დაახლოვებოდენ ოსმალეთის პოზიციებს ზონაში... (დამახინჯებულია)... ოსმალებმა შეტევა დაიწყეს, უკუ აგდეს ბერძნები და სდევნიან მათ.

კაბინეტის დაცემა ათინაში.

ბათომი. 12 აპრილი. (ტელეგრაფით). უცნობ სადგურის რადიო, დაჭერილი ბათომში, ადასტურებს კაბინეტის დაცემას ათინაში. 9 აპრილს უკვე შედგენილი იყო გუნარისის მეთაურობით ახალი კაბინეტი, რომელშიაც განსაკუთრებით მონარქისტები შედიან.

რუსეთის თეთრგვარდიელებს აღმოსავლეთშიაც არ აქვთ ნდობა.

ტაშკენტი. 9 აპრილი. (რადიო). ჩინეთიდან მიღებულ ცნობებით რუსეთის თეთრგვარდიელები შეიკრიბნენ ჟულიჯში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობის გეგმის განსახილველად. დუტოვის მოადგილემ გერდოვმა მიმართა ჩინეთის მთავრობას თხოვნით, აღმოუჩინოს მას დახმარება იარაღით, მაგრამ უარი უთხრეს.

დროებით დაიპირეს.

ბათომში მიღებულ ცნობებით, 3 გემი საქონელი, ქართველ ხალხისთვის მენშევიკ მთავრობის მიერ ნაყიდი, დროებით გადმოტვირთეს კონსტანტინოპოლში. დოკუმენტები საქონლის მისაღებათ, რომელთა შორის არის მედიკამენტები, მენშევიკურ მინისტრებს აქვთ, რის გამო საქონლის მიღება ბრკოლდება.

თეთრი ტეროორი გერმანიაში.

რიგა. 11 აპრილი. (რადიო). მოკავშირეთა ჯარებმა, რომელთაც ქვემო რურის ოლქი დაიპირეს, გამოსცეს ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, ყველას, ვინც შენიშნული იქნება რაიმე დანაშაულში, სამხედრო სამართალში მისცემენ, რომელი სახლიდანაც კი სროლას ასტეხენ, იმ სახლს დაუყონებლივ გაანადგურებენო.

ეკონომიური ცხოვრება

უმაღლესი სახალხო სამეურნეო საბჭო

უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს, ანუ სოვნარხოზს, სახელმწიფოს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტი, იგი ნამდვილი ღერძია სახელმწიფოსი და მისი სიავ-კარგით განისაზღვრება სახელმწიფოს ძეურნეობა-მრეწველობის მდგომარეობა და აღმშენებლობა. ამ მხრივ, დღეს, როდესაც საბჭოთა საქართველოს მშრომელ მასას სრულიად ახლად და უჩვეულოდ უხდება განადგურებული წარმოების აღდგენა და მისი ახალ, კომუნისტურ საფუძველზე აშენება, უმაღლესი სახალხო სამეურნეო საბჭო განუსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს.

ამ დარგშიც, როგორც ბევრ სხვებში, ჩვენ უნდა ვისარგებლოთ საბჭოთა რუსეთის გამოცდილებით და მისი ორგანიზაციული სქემით, იმ განსხვავებით და შესწორებით, რასაკვირველია, რაც არ შეესაბამება, როგორც საქართველოს თავისებურობას, აგრეთვე არსებული მრეწველობის სიდიადეს რუსეთთან შედარებით. საქეში მისაღებია აგრეთვე ის გარემობა, რომ ყოველივე ახალი, რა გინდ ის კარგიც იყოს, ერთნაირი სიფრთხილით და თანდითანობით ტარდებოდეს ცხოვრებაში, რადგანაც გამოცდილება გვასწავლოს, რომ ხშირად თეორია და პრაქტიკა ერთიმეორეს ვერ ურიგდება და ამ ნიადაგზე შექმნილი მიზანშეუწონლობა ადუხეჭოებს სახელწიფო ორგანიზმს.

უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭომ, როგორც რეგულიატორმა, შრომის სამეფოის მოწყობის საქმეში პირველმა უნდა ჩაუყაროს საძირკველი კომუნისტურ წესწყობილებას საქართველოში და ამიტომ არის საჭირო, რომ ამ დაწესებულების ხელმძღვანელებმა მეტი ენერგია, წინდახედულება და კომუნისტური სიძლიერე გამოიჩინონ, რომ ამ გარდატეხის ხანაში მათგან უნებლიეთი შეცდომები არ იქმნას დაშვებული.

აქ საჭიროა ორ უმთავრეს მომენტს მიექცეს ყურადღება: ერთია ის, რომ დაწესებულების აპარატი რესპუბლიკის ფარგლებში არ უნდა იყვეს იმაზე ფართე, რაც საქართველოს მეურნეობა-მრეწველობისათვის დღევანდელი მისი სახით არის საჭირო და დაწესებულების უამრავი განყოფილებები და ქვეგანყოფილებები არ აღემატებოდეს თვით წარმოების მოთხოვნილებას, რომ ორი ჩინოვნიკი არ მოდიოდეს ერთ მუშაზე.

მეორე ის, რომ წარმოების ახალ კალაპოტში ჩაყენება თხოულობს ერთნაირ სიფრთხილეს და წინდახედულობას, მით უმეტეს, რომ ამ გარდატეხის დროს ჩვენ გვიხდება მუშაობა უმთავრესად იმ ელემენტებთან, რომელნიც გუშინ ჩვენი დაუძინებელი მტრები იყვნენ და დღეს ისინი ვერ შეიქმნებოდნენ, ან ნაკლებად შეიქმნებოდნენ ერთგულ მუშაკებათ და თანამშრომლებათ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში.

წარმოება ფრიად რთული და ფაქიზი რამ არის, რომ მისი კალაპოტში და ახალ საფუძველზე მოწყობა უბრალო ფორმალობით შეიძლებოდეს. მას აქვს თავისი გარდაუვალი კანონები, რომელთა მარტო გათვალისწინება როდი კმარა. მით უმეტეს მაშინ, როდესაც უკვე არსებული წარმოება მხოლოდ სახეს იცვლის, ახალ პირობებში ვარდება და ასეთ დროს მისი ოდნავ შეჩერება ან შეფერხება განუსაზღვრელ ზიანს მიაყენებს საერთო საქმეს. აქ საჭიროა ცოცხალი და სწრაფი მზრუნველობა კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

ამ მხრივ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი „სოვნარხოზი“ ცოტა არ იყოს მოიკოჭლებს. მას მეტი ფორმალობა ეტყობა, ვინემ ამას მოითხოვს წარმოების ნორმალური მსვლელობა, მისი ნაყოფიერების შეუწყვეტლობა. აქ ორი აუცილებლობა უპირისპირდება ერთი მეორეს. სოვნარხოზმა უნდა აიღოს ახლავე სრულ აღნუსხვაზე ყველა საწარმოო იარაღები და მისთვის საჭირო ნივთეულობანი. მან უნდა თავი მოუყაროს თავის საწყობებში ყოველივე იმას, რაც საჭიროა წარმოებისათვის და აქედან გაანაწილოს და დაარიგოს მასალები ყველა საწარმოო დარგისათვის მისი მოთხოვნილებისამებრ. ეს კონცენტრაციაა საერთოდ წარმოებისა. ეს მიუცილებელი კანონია კომუნისტური წარმოების აღმშენებლობაში. რაც მალე შევძლებთ ამას, მით ადრე მოეღება ბოლო კერძო მწარმოებლების ვაკხანალიას, სპეკულიაციასა და შრომის ყვლეფაში მათ გაუმაძღრობას.

კერძო მწარმოებლებს მშვენივრათ ესმით ყოველივე ეს და სწორედ ამისათვის არის, რომ ისინი ყოველივე საშუალებას ხმარობენ ხელი შეგვიშალონ ამ მუშაობაში, რისთვისაც ესინი მზათ არიან არამც თუ გადაგვიმალონ მასალები, არამედ არ ერიდებიან მის განადგურებასაც კი, ოღონდ გაგვიძნელონ საქმე, ან საშუალება მოგვისპონ წესიერ წარმოების აღდგენისათვის და მით გველებივით ისისინონ, რომ, აი, ხომ ხედავთ, უჩვენოთ თქვენ ვერაფერს ვერ გააკეთებთ, ვერაფერს შექმნითო.

ამისთვის საჭიროა შექმნილ მდგომარეობაში ერთნაირი აღღოს აღება, რომ ნაკლები მტკივნეულობით იქნას გადატანილი ხელოვნურად შექმნილი კრიზისი, რაც, სხვათა შორის, გამოიხატება დღეს მასალების უქონლობაში.

ჩვენი ნაკლი არასოდეს არ უნდა დავმალოთ და უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ საჭირო მასალა ცოტა გვაქვს. მე კი მგონია, რომ აქნობამდის ბევრის გაკეთება შეიძლებოდა ამ სფეროში, ვინემ რამე გაგვიკეთებია. ჯერ კიდევ ვერ დალაგდნენ სავნარხოზის განყოფილებები. ჯერ კიდევ ვერ გამოირკვა, რა განყოფილებას რა ფუნქციები უნდა ჰქონდეს და სხვა. ამნაირად, დღეს რომ გგონია ესა თუ ის საქმე ამ განყოფილებას ეკუთვნის, მის განკარგულებაშია,—ხვალ გებულობ, რომ ეს ასე არ არის. მაგ. დღემდის სადავოა, თუ ვინ განაგებს ქადალდის საქმეს. იყო შემთხვევები, როდესაც «სოვნარხოზი» პოლიგრაფიულ განყოფილებას სწერს: ქაღალდი გაეცი ამა და ამ პირსაო. ცენტრალური ბეჭდითი დაწესებულება თავისთვის ღელავს და ასეთ დავიდარაბაში ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს სტამბების ერთი ნაწილი მაინც შეფერხდეს. დღესვე აუარებელი საბეჭდი საქმეებია და უმასალობით ვერ შესრულებულა და სტამბის მუშები უმუშევრობას განიცდიან. მრავალი წვრილმანი მასალებია საჭირო, რომ საბეჭდავი საქმეები არ შეჩერდეს და ამ მასალის დიდი ნაწილი—კი სოვნარხოზს ჯერჯერობით არ გააჩნია. ჩვენ ვიცით, თუ რა სამკვიდრო მივიღეთ ძველი მთავრობისაგან, ე. ი. არასფერი და ყოველისფერი დანგრეული და მოუწესრიგებელი. მით უმეტეს გვჭირდება დიდი მუშაობა. ერთი გამოსავალი საშუალება აქ ის არის, რომ ჯერჯერობით, სანამ მასალების მთელი შომარაგება დაეწყობოდეს, ბაზართან ვიქონიოთ კავშირი. დეე, ეს ძვირად დაგვჯდეს, ხოლო საქმე კი არ შეფერხდეს. საჭიროა გაიცეს კრედიტი წვრილი მასალების შესაძენად, რომელიც მუდამ საათს არის საჭირო და ურომლისოდაც, ერთი ჰატარა რამისთვის მთელი სტამბა შეიძლება რომ გაჩერდეს. ამისათვის დიდ მიწერ-მოწერას და ფორმალობას ნაკლები ანგარიში უნდა გაეწიოს. იქნება ვინმესთვის არის ეს საჭირო, მხოლოდ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის კი ყველაფერი სისწრაფით უნდა კეთდებოდეს. მტრებს არა სძინავთ. რამდენ ჩვენს მეტ ტკივილებს დაინახავენ, იმდენს გაიხარებენ.

მეტი წინდახედულობა და მხურვალე მზრუნველობა, რომ წარმოება არ დაეცეს, არ მოდუნდეს, რომ მისი გამოსწორება მეტად ძვირად არ დაუჯდეს ისედაც განაწამებ და გაყვლეფილ საქართველოს მუშებსა და გლეხებს.

სანდრო ალაფაშვილი.

ქრონიკა

საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიის მთავარი კომიტეტი გვთხოვეს გამოვაცხადოთ შემდეგი: „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საყოველთაოდ და ამხანაგების ყურადსაღებად ვაცხადებთ, რომ გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი,“ როგორც ქართული, ისე რუსული, არ არის საქ. სოც. ფედ. სარევ. პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო.“

პეტრე კრაპოტკინის ხსოვნის დილა. კვირას, 17 აპრილს, დღის 12 საათზე, კონსერვატორიის ზალაში შესდგება პეტრე კრაპოტკინის ხსოვნის დილა. კრაპოტკინის ცხოვრებისა და მოძღვრების შესახებ მოხსენებას გააკეთებს ცნობილი ემიგრანტი და გარდაცვლილის ახლობელი მეგობარი ვარლამ ჩერქეზიშვილი. დილის პროგრამაში შედის აგრეთვე 2 მოხსენება: 1) კრაპოტკინის პიროვნება და შემოქმედება, 2) კრაპოტკინი, როგორც ხელოვანი. მომხსენებელნი: მწერალი ი. ნაკაშიძე და ლ. კრემერ. შესვლა ფასიანია 50 მანეთიდან.

საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. დღეს, დილის 10 ნახ. საათზე, მასწავლებელთა სახლში, (ყოფილი ქართული კლუბი) მოხდება საქართვ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება. პროფესორი ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ბრძოლა საქართველოს მთლიანობისა და დანაწილების გამო მე-15—16-ე სს—ში. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

რკინის გზის ზარალის შესახებ. საქართველოს რკინის გზების უფროსმა და კომისარმა კაციტაძემ ვრცელი მოხსენება წარუდგინა ს. ს. ს. რ. რევკომს იმ ზარალის შესახებ, რომელიც რკინის გზებმა განიცადეს ომის გამო. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რკინის გზის სხვა და სხვა განყოფილებიდან დასავლეთ საქართველოსაკენ გაზიდულია თითქმის ყოველგვარი ქონება, როგორც მოძრავი შემადგენლობა, ტელეგრაფი, ტელეფონი, სხვა და სხვა მანქანები; განსაკუთრებით დაზარალებულია სამექანიკო (წევის) სალიანდაგო და ტელეგრამის ნაწილები. ყველა დანაკლისი გამორკვეული არ არის, ჯერ-ჯერობით გამორკვეულია, რომ 11,600 მილიონი მან. საჭიროა იმისთვის, რომ რკინის გზა ჩაყენებულ იქმნას ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც ის უკანასკნელ ომამდე იყო. განსაკუთრებით დიდ ძალ ენერგიას და ხარჯებს ითხოვს დანგრეულ ხიდების საბოლოო შეკეთება. ადგილობრივი მცხოვრებლები სურვილს აცხადებენ მონაწილეობა მიიღონ ხიდების აღდგენაში სრულიად უსასყიდლოთ.

საქართველოს რკინის გზებზე. მატარებლების დამსხვრევა. 14 აპრილს ღამის 3 საათზე სადგ. ვაზიანში 22 ვერსისის მანძილზე ლიანდაგიდან გადავიდა მატარებელი № 781—8 საკლასო და 7 დახურული ვაგონი. გზა 100 საჟენზეა გაფუჭებული. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. გზას აკეთებენ და ერთი დღის შემდეგ მოძრაობა განახლდება.

— **მიმოსვლა საქართველოს ხამხედრო გზაზე.** 9 აპრილს საქართველოს სამხ. გზა გაწმენდილია ჯვრის უღელტეხილამდე. ამ დღეებში დაიწყება მიმოსვლა ტფილისსა და კავკავის შორის.

— **მუშების მავშვებისათვის რძე.** ქალაქის რევკომმა დაადგინა: საქალაქო ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებაში ყოველდღიურად შემოსული რძე, 153 ფუთი, განაწილებულ იქმნას უფასოდ მუშების ბავშვებს შორის. განაწილების წესი შემუშავებული იქნება საქალაქო ჯანმთელობის განყოფილების მიერ პროფ. საბჭ. და სარაიონო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

კურსები მუშათა ინსპექტორებისათვის. შრომის დაცვის განყოფილება აპირებს გახსნას მუშათა ინსპექტორებისათვის კურსები, სადაც წაკითხულ იქნება შემდეგი ლექციები: შრომის ინსპექციის მიზნების მნიშვნელობა, სოციალური დაზღვევა, საფაბრიკო ინსპექცია და რამდენიმე ლექცია პოლიტიკურ ხასიათისა. ამას გარდა განზრახვა აქვთ გამოსცენ კრებული რუსულ და ქართულ ენებზე (რა უნდა იცოდეს ყოველმა მუშამ შრომის დაცვის შესახებ).

1 მაისის დღესასწაულობა. პროფკავშირების პრეზიდიუმმა მიანდო ამხ. კიკნაძეს და ორ ამხანაგს ხელოვნების კავშირის და მეტალისტების წარმომადგენელს, შეიმუშაონ 1 მაისის დღესასწაულის გეგმა.

ავადმყოფთა განსაკუთრებული კვება. კომუნალურ ექიმთა თათბირმა დაადგინა მიეცეს განსაკუთრებულ საკვების მიღების ნებართვა ავათმყოფთათვის მხოლოდ საბჭოთა მოსამსახურეებს და მათ ოჯახებს, ამასთანავე ამბულატორიის ავადმყოფებს ასეთი ნებართვა ეძლევათ ცენტრ. საექიმო კომისიისაგან ქალაქ. ცენტრ. საავადმყოფოსთან, სალდათის ბაზარზე, და ვისაც სიარული არ შეუძლია, მიიღებს ქალაქის სათანადო უბნის ექიმისაგან. გადაწყვეტილია მოეწყოს საექიმო კომისიები ავლაბრის, ნაძალადევის და დიდუბის რაიონებში.

კოოპერატივების მიერ სურსათის შესყიდვა. თბილისის კოოპერატივები შეუდგნენ ყოველგვარ სანოვაგის შესყიდვას ქართლში და კახეთში. სილნაღის და დუშეთის მაზრებში კოოპერატივ „ედინენიემ“ შეისყიდა ქაროოთილი, ფქვილი, სიმინდი, ლობიო.

აღნუსხვა საქალაქო [illegible]. რევკომმა წინადადება [illegible] ქ. იარაღის აღნუსხვის გამგეს ამხ. აბაშიძეს დაბეჭდოს ქ. თბილისის ყველა მაღაზიები და აღნუსხოს, რაც მაღაზიებში ნოტები აღმოჩნდება.

მთავარი საწყობის ქონება. ბათომში აღმოაჩინეს 126 ვაგონი მასალა და ინვენტარი, წაღებული საქართველოს რკინის გზების მთავარ საწყობიდან და ორი ვაგონი ტელეგრაფის სახელოსნოდან.

ტრიბუნალში. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის წევრი ამხ. რუბენი ამ დღეებში მიემგზავრება ბათუმსა და ქუთაისს ადგილობრივ ტრიბუნალების მოსაწყობათ.

— **კურორტები.** ბორჯომისა და აბასთუმანის კურორტების დასათვალიერებლათ და მათ რეორგანიზაციისთვის ჯანმრთელობის კომისარიატმა დანიშნა სპეციალური კომისია მ. ო. ზანდუკელას თავმჯდომარეობით. კომისიის პოლიტიკურ კომისრათ დანიშნულია მ. ლ. გულუა. კომისიაში შედიან მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის, უმაღლეს სახალხო მეურნეობის, გეოლოგიურ კომიტეტის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელნი.

სოფლის მეურნეობის კომუნა. ინტელიგენტთა ჯგუფი გლეხებთან ერთათ აწყობს კომუნალურ საფუძველზე სოფლის მეურნეობის სამუშაოს, ბორშაში, გორის მაზრა. ბორშა ეკუთვნის მაღალაშვილს და შეიცავს წისქვილს, ბაღს, ბოსტნებს და სახნავ მიწას.

ნავთის ნაწარმოებნი. 11 აპრილისთვის საქართველოს რკინის გზების საწყობებში იყო შემდეგი ნავთის ნაწარმოებნი: დაუწმენდავი ნავთი 32,350 ფ., დენატურატი 72,270 ფ., დაწმენდილი ნავთი 77,400 ფ., ზეთი 7,120 ფ., ბენზინი 1,500 ფ.

— **მაგარი სათბობი მასალა:** ქვა-ნახშირი 7,300 ფ. შეშა 15 კუბ. საჟ.

— ორშაბათს, საღამოს 7 საათზე, მანუილოვის ლექციის შემდეგ დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური დარგის სტუდენტთა საერთო კრება. გასარჩევია სასწრაფო კითხვები. ამხანაგებს ვთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ.

ხელოვნება

„სატირ-აგიტის“ თეატრის გახსნა.

14 აპრილს ოფიციალურად გაიხსნა რევოლიუციონური სატირის თეატრი. თეატრი გაიხსნა მეტათ მშვენივრათ დადგმულ და შესრულებულ „რაფსოდიით“, ფალიევის მუსიკით. ეს რაფსოდი, მიძღვნილი ლენინისადმი, თავდება ინტერნაციონალის მღერით და მუსიკით. ამ პირველმა წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე და დაანახვა მას ის გზა, რომლითაც წავა რევოლიუციონური სატირის თეატრი.

მთელი წარმოდგენა არსებითათ ტენდენციოზური იყო, მაგრამ ამავე დროს წარმოდგენის მხატვრულმა დადგმამ, მისმა მხატვრულმა ღირებულებამ დაგვანახა, რომ პროლეტარიატს უკვე აღარ სჭირია ტლანქი აგიტაცია. თანამედროვე მუშას აღარ სჭირია პოლიტიკური ანბანი, რაც საჭიროა მცირე წლოვან ბავშვთათვის. ცხოვრებამ შეასწავლა მას პოლიტიკური ანბანი და მისთვის მისაწვდომი გახდა უმაღლესი მხატვრული განცდანი. სწორეთ ისეთი მხატვრული მინიატურები განსაზღვრულ პოლიტიკურ შინაარსით იყო მოკლე, მაგრამ ძლიერ საინტერესო თვისებით და შესრულებით შემდეგი მინიატურები: „მწვანე თუთიყუში“ სიმბოლო აღმოსავლეთის დამონავებულ ქალისა, „სასაფლაო“ დღიური ჭირ-ვარამის შარჟი, პიესა „გეტერა სამოთხეში“ და სხვა.

გენერალურ რეპეტიციის დროს, რომელსაც დაესწრნენ მხოლოთ ხელოვნების წარმომადგენელნი, „სატირ-აგიტის“ თეატრის იდეურმა ხელმძღვანელმა და მისმა დამაარსებელმა ამხ. ბოგდატიევმა დაასურათა საფუძკელი ახალი თეატრისა.

ახალმა რევოლიუციონურმა თეატრმა —აღნიშნა ამხ. ბოგდატიევმა,—არ შექმნა ახალი თეატრალური ფორმები, მან მოიხმარა ყველა უმაღლესი მიღწევანი კაპიტალისტურ ხანის თეატრისა, ესე იგი მხატვრული მინიატიურისა. მაგრამ რევოლიუციონურმა თეატრმა ყირამალა დააყენა ეს მინიატიურა, ძველი თეატრი არას დროს არა ქადაგებდა ზნეობას, იგი იყო ტლანქად ნატურალისტური. რევოლიუციონური თეატრი კი ცხოვრების სურათთან ერთად, იძლევა ჩიხიდან გამოსავალსაც, იძლევა აქტივობის ელემენტსაც და გვასწავლის, რა უნდა გავაკეთოთ. თავის სატირიულ ნაწილში რევოლიუციონურ სატირის თეატრი არა თუ მარტო აცინებს, იგი გვიჩვენებს კიდეც, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ თითონ არ ვიყვნეთ სასაცილონი. ახალ თეატრის „სატირ-აგიტის“ ძირითადი ელემენტებია—სოციალიზმი-დინამიკა და რეალიზმი.

ამხ. ბოგდატიევის სიტყვები გაამართლა იმ პიესა მა, რომელიც დადგულ

იქმნა რევოლიუციონურ სატირის თეატრში დიდის სურვილით, დიდის ყურადღებით და მხატვრულის გრძნობით.

რასაკვირველია, შეიძლება აღვნიშნოთ დეფექტები პიესების დადგმაში, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ყველა იმ სიძნელეთ, რომელნიც სძლიეს თეატრის ორგანიზატორებმა და ხელმძღვანელებმა, ამბ. ბოგდატიევმა, ბრიანსკიმ და ვოლკიმ, უნდა ვსთქვათ რომ რევოლიუციონურ სატირის თეატრის პირველმა წარმოდგენამ იდეით თუ შესრულებით მშვენიერათ ჩაიარა.

დასასრულ, აუცილებლათ უნდა აღვნიშნო მშვენიერი შრომა მხატვრის ანდრეევისა, რომელმაც ყველა მაყურებელთა ყურადღება მიიზიდა თავის მშვენიერი დეკორაციებით.

პროფესიონალურ კავშირებში

საქართველოს სარსაბჭოს, სამპროფბიუროებს, ყველა პროფკავშირთა გამგეობებს. პროლეტარულ ახალგაზრდობის პროფესიონალურ მოძრაობაში ჩაბმის შესახებ.

ძვირფასო ამხანაგებო.

ს. პ. კ. ც. საბჭო აუცილებლათ სთვლის პროლეტარულ ახალგაზრდობის პროფესიონალურ მოძრაობაში ჩაბმას და აქცევს თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ აღმშენებლობისთვის მუშა ახალგაზრდობის პროფესიონალურ საწარმოო აღზრდას. სთვლის რა კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირს მუშა ახალგაზრდობის ფართო მასების გამაერთიანებელ ორგანიზაციათ, ს. პ. კ. ს. მიუთითებს საქართველოს ყველა პროფკავშირებს, რომ მთელი მუშაობა კომუნიზმისთვის მებრძოლ ახალგაზრდობის აღსაზრდელათ უნდა სწარმოებდეს საქ. კომუნ. ახალგაზრდობის კავშირის მეოხებით. ამიტომ, ს. პ. კ. ს. წინადადებას აძლევს ყველა პროფკავშირებს გაუწიონ ენერგიული დახმარება ს. კ. ა. კ. მუშათა მასების მოკავშირეებს პოლიტიკურათ აღზრდის საქმეში. პროფკავშირების ორგანოებს შორის ორგანიული კავშირის დასამყარებლათ და აგრეთვე პროლეტარულ ახალგაზრდობის წრიდან პრაქტიკულ მუშაობის პროცესში, საწარმოო-პროფესიონალურ კავშირთა ორგანიზატორების და მოღვაწეების აღზრდის მიზნით, ს. პ. კ. ს. აუცილებელ საჭიროთ სთვლის კ. ა. კ. წარმომადგენლების შეყვანას ყველა პროფკავშირთა ორგანიზაციებში. ს. პ. კ. ს. საჭიროთ სთვლის პირველ რიგში ამ ორივე ორგანიზაციის იაჩეიკების შორის კავშირის გაბმას (პროფკავშირების იაჩეიკების კომ. ახ. კავშირის იაჩეიკებთან), და ამიტომ წინადადებას აძლევს ყველა საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებს შეიყვანონ წარმომადგენელი საქ. კომ. ახალგ. კავშირიდან სათანბირო ხმის უფლებით. აგრეთვე უნდა მოეწყოს წარმომადგენლობა კომ. ახ. კავშირის სამაზრო კომიტეტიდან სამპროფბიუროები და მის პრეზიდიუმში, და სარპროფსაბჭოში და მის პრეზიდიუმში კომ. ახ. კავ. საგუბერნიო კომიტეტისაგან; პროფკავშირების გამგეობაში წარმომადგენლები შევლენ კომ. ახ. კავ. სათანადო კომიტეტისაგან, მათ მიერ გამართულ არჩევნებით. კომ. ახ. კავშირის და უმაღლეს იაჩეიკების პროფკავშირებში წარმომადგენლობა უნდა ატარებდეს აღზრდითი ხასიათს. კომ. ახ. კავ. წარმომადგენელი ამა თუ იმ დარგში თავის მოღვაწეობით ემსახურება უპირველესათ ყოვლისა ახალგაზრდობას (მოზრდილთა შრომის დაცვა) შემდეგ ის თანდათან უნდა ჩაბმულ იქნეს მუშაობაში და აწარმოებდეს უფრო და უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოს, მაგრამ არა ტეხნიკური ხასიათისა. სთვლის რა აუცილებლათ, რომ მთელი წარმოებაში ჩაბმული ახალგაზრდობა იყოს პროფ. კავშირის წევრებათ, ს. პ. კ. ს. აღიარებს რომ პროფკავშირებთან ახალგაზრდათა სექციის შექმნა დააშორებს ახალგაზრდობას დანარჩენ მუშათა კლასისაგან და განავითარებს მასში ვიწრო ამქრულ შეხედულებებს, ამიტომ საბჭო წინააღმდეგია პროფკავშირებთან სხვადასხვა ახალგაზრდათა სექციების შექმნისა და აუცილებლათ სცნობს ყველა პროფკავშირების საქართველოს კომ. ახ. კავშირთან დაკავშირებას და წინადადებას აძლევს ყველა პროფკავშირებს გადასწყვიტონ ყველა საკითხები ახალგაზრდობის შესახებ კომ. ახ. კავშირის წარმომადგენელთა თანადასწრებით.

ს. პ. კ. ს. მდივანი **ყურულიშვილი.**

ს. ა. კ. ც. კ. მდივანი **ამას.**

ეკონომ. უფლებ. განყოფ. გამგე **დევდარიანი.**

მუშათა ცხოვრება

შრ მის დისციპლინა.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა მოსამსახურე ამხანაგებს.

დიდი რევოლიუცია შეუკავებლათ ვრცელდება და ედება მთელ მსოფლიოს. მომენტის მნიშვნელობა მსოფლიოს მშრომელთათვის და კერძოთ საქართველოსთვის უნდა შეიგნოს რესპუბლიკის ყველა შეგნებულმა მოქალაქემ. მუშა-გლეხის მასსები, სურთ რა განთავისუფლდნენ კაპიტალის ბორკილებისა და მონობისაგან, უკანასკნელ ძალ-ღონეს აღლევენ დამმონავებლებთან ბრძოლაში. სისხლითა და დაუსრულებელ მსხვერპლით იძენენ თავისუფლებას. ამ ბრძოლაში, რომელსაც მოაქვს უტყუარი განთავისუფლება მშრომელთა, უნდა მიიღოთ მონაწილეობა თქვენც, ამხანაგებო, რომელთაც არაფერი საერთო არა გაქვთ მჩაგვრელთა კლასთან. სხვა და სხვა ხანას და სახელმწიფოს ფაქტები გვიმტკიცებს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი არ უყურებდნენ გულგრილათ დაჩაგრულთა ინტერესებს და ძლიერ ხშირათ თითონაც გამოსულან მჩაგვრელთა წინააღმდეგ. მაშ, ჩვენთვის სულ ერთი არ უნდა იყოს რა ასოებით ჩაიწერება ჩვენი სახელები საქართველოს ისტორიის წიგნში. ჩვენკან, ამხანაგებო, არ თხოულობენ მონაწილეობის მიღებას სისხლის ფრონტზე, ადამიანთა მსხვერპლით და მაშასადამე, მრავალ გაჭირვების ატანით, რომელიც აუცილებელია ბრძოლის ველზე. ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის მუშა-გლეხი მასსები აღტაცებით ჭკიდებენ ხელს ახალ უკეთეს ცხოვრების გამაგრებას და მოგიწოდებთ თქვენ საერთო საამხანაგო მუშაობისთვის. ყველა, ვისაც იმედი აქვს საუკეთესო მომავლისა, უნდა იყვნენ მშრომლებთან ერთათ. შრომის დეზერტირებსა, ზარმაცებსა და მუქთა მჭამლებს არ უნდა ჭქონდეთ ადგილი ჩვენ შორის. ბევრი მოსამსახურე ჩვენი უწყებისა გაურბის სამსახურს და არ ასრულებს, როგორც საჭიროა თავის მოვალეობას. ზოგიერთ დაწესებულებათა უფროსები არ იღებენ შესაფერ ზომებს საქმის საჭირო ნიადაგზე დაყენებისთვის. ასეთი მოვლენა არ არის ნორმალური და საჭიროა შესაფერ ზომების მიღება. ფოსტას, ტელეგრაფს და ტელეფონს დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების აპარატის აღდგენაში და ერის ცხოვრების მოწესრიგებაში. ეს ჩვენ ყველამ უნდა შევიგნოთ და ყველამ, როგორც ერთმა კაცმა უნდა მოვკიდოთ ხელი ჩვენი დაწესებულებათა ფუნქციების აღდგენას და მოწესრიგებას. რესპუბლიკის რევოლიუციონურმა კომიტეტმა, მიიღო რა მხედველობაში ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის დიდი მნიშვნელობა, დეკრეტით № 15 გამოაცხადა მობილიზაცია ჩვენი უწყების მოსამსახურეთა. ამგვარათ საქართველოს მცხოვრებთა სურვილით, რევოლიუციონურ მთავრობის მიერ, ჩვენ გამოცხადებული ვართ რევოლიუციის ჯარის კაცებათ. ეს ახალი მდგომარეობა ახალს არაფერს ეტყვის პატიოსან და შეგნებულ ამხანაგებს. ისინი ამ ჟამამდეც იყვნენ ჯარის კაცებათ, რამდენათაც კეთილსინდისიერათ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ იმათთვის, ვინც ზარმაცობს, შრომას გაურბის, პროვოკატორობს და საზოგადოთ, შეაქვს დეზორგანიზაცია, ეს ახალი მდგომარეობა ბევრის მთქმელია. ვითვლები რა პასუხისმგებელათ რევოლიუციის წინაშე რესპუბლიკის ფოსტა ტელეგრაფის საქმის საჭირო ნიადაგზე დაყენების საქმეში, მე, როგორც წარმომადგენელი რევოლიუციონურ ხელისუფლებისა, მოგმართავთ ყველა შეგნებულ ამხანაგებს და გთხოვთ გაიორკეცოთ ძ გაასამეცოთ ენერგია, არ დაზოგოთ ძალ-ღონე ძ ხელი შეუწყოთ რევოლიუციათ მოპოებულის გამაგრებას. ყველა დანარჩენ მოსამსახურეთ ვურჩევ ახსოვდეთ, რომ მათი დეზორგანიზაციური მოქმედების წინააღმდეგ ჩემ მიერ მიღებული იქნება სასტიკი ზომები. და წესებულებათა უფროსებმა უნდა მიიღონ სასტიკი ზომები, რათა დააყენონ საქმე საჭირო ნიადაგზე და აღადგინონ დისციპლინა დაწესებულებებში.

არ იყოს არც ერთი დაგვიანებული, დამახინჯებული, ან ჩარჩენილი დეპეშა, არც ერთი დაკარგული ან ჩარჩენილი წერილი ხელქვეითმა უნდა გულმოდგინეთ და ბეჯითად აღასრულოს თავისი საქმე. პოლიტიკურ კომისარს თვალი უნდა ეჭიროს დაწესებულებებში გაძლიერებული ტემპით მუშაობის წარმოებაზედ, არ უნდა ჩაერიოს დაწესებულების უფროსის განკარგულებებში, თუ ეს განკარგულება არ ეწინააღმდეგება რესპუბლიკის ინტერესებს. პოლიტკომმა ხელი უნდა შეუწყოს ადმინისტრაციის დაწესებულებაში კავშირისა და რევოლიუციონურ დისციპლინის დამყარების საქმეს. საქმის ინტერესით გამოწვეული ყოველივე განკარგულება, გაცემული უფროსის მიერ უმცროსის მიმართ, არის იგივე ბრძანება, რომელიც თავის დროზე და სიტყვის შეუბრუნებლად უნდა შესრულდეს. ადგილობრივი კომიტეტები არ უნდა ჩაერიონ ადმინისტრაციის განკარგულებაში, ხელი არ უნდა შეუშალონ ამ განკარგულებათა აღსრულებას, არ გაამწვავონ ურთი-ერთობა, ერიდნონ უთანხმოებას და კონფლიქტებს და ყოველგვარ ახსნა-განმარტებისთვის მომმართონ მე და ჩვენი კავშირის ცენტრალურ კომიტეტს. მაშ, საქმეზედ ამხანაგებო. დღეს იჭედება ტანჯული, ქართველი ხალხის ბედნიერება და ვიყვნეთ ამ დროს ჩაქუჩის დამკვრელი მაინც, ძირს უსაქმურნი და არევდარევის შემტანნი. გაუმარჯოს სოც. საბჭოთა ნორჩ რესპუბლიკას! გაუმარჯოს მის შეგნებულ მოქალაქეთ!

პროვინციაში

ახალანა

17 მარტს 1921 წ. ს. ასკანაში შესდგა მიტინგი. მშვენიერი დარის გამო მიტინგს დიდძალი ხალხი დაესწრო. მიტინგზე მოხსენება გააკეთა გურ. ცენტრ. კომ. მიერ გამოგზავნილმა ამხ. გრ. გოგიბერიძემ. მან ვრცლად აუხსნა ხალხს მიმდინარე მომენტი და წითელი ჯარის საქართველოში შემოსვლის მიზეზი. მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს მენშევიკების, ფედერალისტების და მემარცხენე ესერების წარმომადგენლებმა. მომხსენებელმა ოპონენტებს შესაფერი პასუხი გასცა. მემარცხენე ესერმა მიტინგზე თავი კომუნისტათ გამოაცხადა და მოუწოდა ასკანის მშრომელ ხალხს, რათა ყველამ დაუჭიროს მხარი საქ. საბჭოთა მთავრობას. შემოვიდა შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა. მიტინგის დასასრულს ხალხმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია ორის ხმის წინააღმდეგ:

ასკანის მშრომელი ხალხი სალამს უძღვნის კომუნისტურ პარტიას და წითელ ჯარს. დღემდე ჩვენ არ ვიცოდით სინამდვილე. წითელი ჯარის შესახებ ჩვენში ვრცელდებოდა ხმები, ვითომ ისინი, ე. ი. წ. ჯ., იყო ბოროტმომქმედი, დღეს კი, წითელმა ჯარმა თავის მოქმედებით დაამტკიცა, რომ ის არ მოსულა საქართველოში როგორც მტერი, არამედ იმათი მოსვლით განთავისუფლდა ქართველი მშრომელი ხალხი მენშევიკების ბატონობისგან.

გაუმარჯოს საქ. საბჭ. რესპუბლიკას

გაუმარჯოსმესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს. გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს ქართველ მოხუც ბელადებს მიხა ცხაკაიას და ფილიპე მახარაძეს!

ოზურგეთი. ყოველმხრივ წამებული ხალხი ხიზნობიდან დაბრუნდა და მუშაობას მოჰკიდა ხელი. ყველანი წყევა-კრულვით იხსენიებენ ყოფილ მთავრობას, მეტადრე უკანასკნელ მიტინგს, სადაც რამიშვილმა მისი ენა სავსებით აამუშავა და ხალხი ასე დააშინა: «თუ მოვიდნენ ავაზაკი ბალშევიკები, ცოლებს წაგართმევენ, ბავშვებს დაგიხოცენ, სიმდიდრეს რუსეთში გაიტაცებენო». ამიტომ ხალხმა, ცოლშვილები და სიმდიდრე, თუ რამ გააჩნდა, მთატყეებში გახიზნა, დიდი ხარჯებიც ნახა: მაგრამ დღეს რას ხედავს? მოვიდნენ ბალშევიკები, მაგრამ არავის არაფერს უშავებენ, პირიქით, ასეთი სიწყნარე, ასეთი პატიოსნება, ასეთი ფაქიზობა არავის უნახავს, საერთოდ მთელ გურიაში. ხშირად გაიგონებთ ხალხში: დღეს დავიბადე, ეხლა ვიგრძენ თავისუფალი ცხოვრებაო.

საერთოდ გურიაში რევკომები სასურველ ნიადაგზე მოეწყო. თვით ოზურგეთში, ყოველივე დაწესებულება თავის სიმაღლეზე სდგას. ამუშავდენ პარტიული ცეკა და ბიუროები, სადაც ხდება რეგისტრაცია და სიფრთხილით, წინდახედულად ღებულობენ პარტიის წევრებს. აქ მიტინგებიც მოეწყო, სადაც ილაპარაკეს ამხ. დოლიძემ და სურგულაძემ, რომლების, მკაფიო, მოკლე და ნამდვილ მუშურმა სიტყვებმა, მუშათა კლასი აღტაცებაში მოიყვანა. „აი ბატონო!—გაისმა ხალხში ხმა: ასეთ უნდა—ცოტა და კარგი“. უწინ კი ორ-ორი საათით გვატყუებდნენ, გაკეთებას გვპირდებოდნენ და ბოლოს უკანასკნელი სიმდიდრეც გაიტაცეს, საყდრებიც გაგვიცარცვეს და სხვა ქვეყნებს მიაშურეს. განათლების მხრივაც საქმე კარგად სდგას. სასწავლებლები საერთოდ გურიაში დიდი ხანია დაიწყო, იმართება ლექციები, სდგამენ წარმოდგენებს. აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას: 10 აპრილს დასდგეს „სამშობლო და პარიზელი ბიჭი“. არტისტები საერთოდ კარგნი იყვნენ. თავ-თავის როლები მშვენიერი ცოდნით შეასრულეს, მხოლოდ ხალხის ნაწილი ვერ იჩენდა ზრდილობას. მაგალითად ოცი კაცი დავითვალე მთვრალები, ქალებმა მათი საქციელი ვერ აიტანეს, სკამები დასცალეს, და მეორე რიგზედ მიიჯგუფენ; სწევდნენ პაპიროსს და ამტრევდნენ თხილს—ეს დაუშვებელია თეატრში. ამაში ადმინისტრაციის სარბილესაც აქვს დანაშაული, რასაც შემდეგში ყურადღება უნდა მიექცეს. საერთოდ დიდი მუშაობა არის საჭირო—მუშაობა დაუღალავი და პატიოსანი, რაც მუშა კლასს უკეთ გაიცნობს მტერ-მოყვარეს—ეს კი თვით ჩვენზედ არის დამოკიდებული—პირველად ყოვლისა საერთო ძალით უნდა ვეცადოთ დაწესებულებებში არ შამოგვეპაროს ბიუროკრატიზმი—გამოცდილება გვაქვს, წარსული გავიხსენოთ, გაჭირვებულთ გულის სიღრმეში ჩავსწვდეთ, ხელი შეუწყოთ და საქმე გაჩაღდება—ყოველივე დაბრკოლება თვით გაჰქრება. მაშ გაუმარჯოს ჩვენს ნორჩ საბჭოთა საქართველოს და მის ბელადებს. გაუმარჯოს ლენინს და ტროცკის, რომლების გადმოსროლილი აგზნებული ლოზუნგი, იდეია და ძალა, სწვდა ციმბირიდგან ბალტის ზღვამდე და ეხლა შავ ზღვამდეც გამეფთდა და ააფრიალა წითელი დროშა. **შა—ლი.**

ხევ-ერკეთის შეერთებულ თემთა 28 მარტის მიტინგი სალამს უძღვნის საქ. კომ. პარ. ცეკას, მის მთავრობას, სახელოვან წითელ ჯარს და ულოცავს მათ საქ. მუშების და გლეხების განთავისუფლებას მენშევიკების მონობისაგან. მიტინგი ფიცსა სდებს საქ. კომ. პარტ. წინაშე, რომ ის შეუდრეკლად იბრძოლებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ძალა-უფლების დამტკიცებისათვის და არავის ნებას არ მისცემს მის წინააღმდეგ მოქმედებისას. გაუმარჯოს საბჭოებს მთელს მსოფლიოში! გაუმარჯოს წითელ ჯარს! გაუმარჯოს III კომ. ინტერნაციონალს. მიტინგის თავმ. **ლ. რამიშვილი.**

გორის მაზრის კომიტეტი ახალ კავშირის ორგანიზაციისა გლოვის ზარმა მოიცვა ენერგიით სავსე და საუკეთესო მუშაკის ამხ. ვლადიმერ ამბაკოს ძე ბარამიძის გარდაცვალების გამო. მდივანი მოსე **ცინცაძე.**

ხაშურის რაიკომი ახ. კავშირ. ორგანიზაციისა ღრმად დამწუხრებული კომუნისტური პარტიის საუკეთესო მუშაკის უდროოთ დაკარგული ამხ. ვლადიმერ ამბაკოს ძე ბარამიძის გარდაცვალების გამო. აცხადებს ღრმა მწუხარებას. მდივანი ბაზილონ **მოწოფელიძე.**

ფოსტა

საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტს, მის სარაიონო ბიუროებს რეგულიარულათ მოგვაწოდეთ ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ.

საქართვ. კომპარტიის ორგანიზაციებს პროვინციაში. მოგვაწოდეთ შეძლებისა დაგვარათ რეგულიარულათ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ და კორესპონდენციები პროვინციის ცხოვრებიდან.

პროფესიონალურ რგოლებს. მოგვაწოდეთ რეგულიარულათ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“. ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლდის ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

დავკარგე: კომუნისტური პარტიის მეორე რაიონის ორგანიზაციის მიერ მოცემული საწევრო ბილეთი № 727 და თბილისის პარიკმახერთა პროფესიონალურ კავშირის საწ. ბილეთი № 100. რაც გაუქმებულათ ჩაითვლება.

იოსებ გიორგისძე ნეფარიძე.

სამშაბათს, აპრილის 19 საღ., 5 ს. მუშათა სასახლეში მეოთხე სართული, ოთახი № 44 დანიშნულია

კომუნალურ მეურნეობის მუშა-მოსამ. პროფ. კავშ. დელეგატთა ყრილობა

ამხანაგების დასწრება აუცილებელია

დღის წესრიგი:

1. მიმდინარე მომ ენტი.
2. კავშირის მიზნები და ამოცანები **სახალხო** მეურ. აღდგენის საქმეში.
3. კავშირის რეორგანიზაცია **წარმოების** პრინციპის მიხედვით.
4. კომუნალურ მეურნეობის **გამგის** მოხსენება.
5. სამანდატო კომისიის მოხსენება.
6. მოხსენება მუნიც. მ.—მოსამ. ტრამვაის, მრეცხავების, პარიკმახერების და სხვათა გამგეობების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.
7. მოხსენება სარევიზიო **კომისიებისა**
8. არჩევნები კომ. მეურნ. მუშათა პროფ. კავშ. გამგეობის.
9. არჩევნები **სარევიზიო** კომისიის.
10. არჩევნები წარმომადგენლების პროფ. კავშ. საბჭოში.
11. მიმდინარე **კითხვები.**

დელეგატები უნდა იქმნენ აღჭურვილი ადგილობრივ კომიტეტების მოწმობებით.

ყველა გამგეებს, კომისარებს და კერძო მწარმოებლებს: კონფერენციის მუშაობის დღეებში დელეგატები უნდა განთავისუფლებულ იქმნან სამუშაოდან ჯამაგირის შენახვით.

თავჯდომარის მაგიერ **ე. ვასაძე.**

მდივანი **პ. მეგრელიშვილი.**

კომუნალურ მეურნ. მუშაკთა პროფ. კავშირის **სადელეგატო** ყრილობის ს. კ. პ. წევრთა და თანამგრძნობ **დელეგატთა**

ფრაქციული სხდომა

რომელიც დანიშნული იყო 17 აპრილს დღის 1 ს., ამბ. თაბუკაშვილის დასაფლავების გამო, გადაიდო 18 აპრილს დღის 1 **საათისათვის,** მუშათა სასახლე, მე-IV სართული, ოთახი № 44.

დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

ამა წლის 23 აპრილს ნაშუადღევის 3 **საათისათვის** კავშირის ბინაზე (პლეხანოვის პროსპ. № 139) იწვევს კავშირის წევრთა საერთო კრებას. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) ძველი გამგეობის მოხსენება.
2) დროებითი გამგეობის **მოხსენება.**
3) სარევიზიო კომისიის **მოხსენება.**
4) კავშირის **რეორგანიზაციის** შესახებ.
5) **წესდების** ზოგიერთი **მუხლის** შეცვლა.
6) **გამგეობის** და **სარევიზიო** კომისიის **არჩევნები.**
7) **საკითხი** დაჭრილ-**დასახიჩრებულთა** **მზრუნველობის** შესახებ.
8) **მიმდინარე** საკითხები.

პროვინციიდან ჩამოსულთ მიეცემა ბინა, **სადილი** და **უკან** დასაბრუნებელი გზის ფული. **დასწრება** **კავშირის** ყველა **წევრისთვის** **სავალდებულოა.**

კავშირის გამგეობა.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომა

ორშაბათს, 18 **აპრილს,** საღამოს 5 ს. **კინო-თეატრ „მინიონის“** შენობაში **დანიშნულია** **პროფკავშირთა** **საბჭოს** **პლენუმის** **გაფართოებული** **სხდომა.** **პროფ.** **კავშირთა** **გამგეობების** **მონაწილეობით**

დღის წესრიგი:

1. ტარიფი და მომარაგება
2. **შრომის** **დაცვა**
3. **მუშათა** **დაზღვევა**
4. **მიმდინარე** **კითხვები**

სხდომაზე **დასწრება** **საბჭოს** **და** **გამგეობის** **წევრთა** **სავალდებულოა**

საბჭოს პრეზიდიუმი.

პროფ. კავშირთა კომუნისტურ ფრაქციის სხდომა

კვირას, 17 **აპრილს** **საღამოს** 5 ს. **მუშათა** **სასახლის** **შენობაში** **მეოთხე** **სართული,** **კრების** **დარბაზში,** **დანიშნულია** **პროფ.** **კავშირთა** **კომუნისტურ** **ფრაქციის** **სხდომა.** **სხდომაზე** **აუცილებლივ** **უნდა** **დაესწრონ** **კომუნისტები** **და** **კანდიდატები** **პროფ.** **კავშირთა** **საბჭოს,** **კავშირთა** **გამგეობების** **წევრნი** **და** **წარმომადგენელნი** **პროფკავშირების** **სამეურნეო** **და** **საბჭოს** **დაწესებულებებში.**

ფრაქციის ბიურო.

ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, **რომ** **გაზ.** **„კომუნისტში“** **დასაბეჭდი** **განცხადებები** **და** **ანგარიშები** **უნდა** **იყოს** **შედგენილი** **ქართულ** **ენაზე;** **სხვა** **ენაზე** **დაწერილი** **მასალა** **არ** **მიიღება**

ტირაჟი—9000 საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. კუბანიშვილის ქ. № 4 ნ. ფ. 22 ს.